საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №292
2024 წლის 4 სექტემბერი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 112-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 70-ე პუნქტი:

„70. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 70^2 მუხლით განსაზღვრული „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების მიზნებისთვის, თუ ამავე შეთანხმებების, საქართველოს კანონმდებლობის ან/და ანგარიშგების საერთო სტანდარტის შესაბამისად განხორციელებული სათანადო პროცედურებით ცალსახად არ დგინდება საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის რეზიდენტობა უშუალოდ რომელიმე კონკრეტული იურისდიქციის მიმართ, ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილია, იგი ჩათვალოს საქართველოს რეზიდენტად.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**